- პროფორიენტაციის ფარგლებში, ბენეფიციარებისთვის, სხვადასხვა დარგის ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა;
- პროფესიული სტუდენტებისათვის/კურსდამთავრებულებისთვის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობის დამყარება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მიზნით, სურვილის შემთხვევაში, მომზადება/გადამზადების პროგრამებში მათი მონაწილეობის ორგანიზება;
- პროფესიების შესახებ სხვადასხვა მასტერ კლასებისა და კონფერენციების ორგანიზება;
- სწავლის პროცესში სტაჟირების ხელშეწყობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა;
- კვლევის წარმოება დამსაქმებლების, პოტენციური ბენეფიციარების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების საჭიროებების შესაბამისად;
- კვლევების წარმოებისათვის კითხვარების შემუშავება (დამსაქმებლებთან, პოტენციურ ბენეფიციარებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან);
- კვლევის ანალიზის გაკეთება, ჩატარებული კვლევების საფუძველზე;
- დამსაქმებლების მუდმივი მოძიება და მათთან ურთიერთობის გამყარება;
- დამსაქმებელთა ბაზების შექმნა, პერიოდულად ძველი ინფორმაციის განახლება;
- აპლიკანტებთან, საინფორმაციო/პროფორიენტაციული შეხვედრების ორგანიზება და ღია კარის დღეების ორგანიზება კოლეჯში;
- დასაქმების სფეროების მიხედვით ვაკანსიების მოძიება და შეთავაზება სტუდენტებისთვის;
- კოლეჯის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ხელს უწყობს სუდენტურ ინიციატივებს ექსტრაკურსულარული აქტივობის ფარგლებში;
- კონფიდენციალობის დაცვა (ბენეფიციარების პირადი ინფორმაციის გაუცემლობა);
- რეგიონის სკოლების, მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ბაზის შექმნა;
- შრომის ბაზარზე, კვლევის შედეგად გამოკვეთილი მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციას, კვლევის ანალიზის სახით, აწვდის ხარისხის მენეჯერს;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულება დირექტორთან;

39. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება			
სამუშაო გამოცდილება	საზოგადოებასთან	ურთიერთობის	სამუშაო	გამოცდილება

	არანაკლებ 1 წლისა, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• საქართველოს მთავრობის დადგენილება №721 2014 წლის 26 დეკემბერი „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცოდნა; • „პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სრულყოფილი სერვისის სტანდარტის განსაზღვრისა და სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ქვესტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №676 2015 წლის 30 დეკემბერი; • ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • საქართველოს შრომის კოდექსის ცოდნა; • პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის ცოდნა.
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად • ინგლისური - B1 სასურველია
40. უფლებები	
• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;
41. პასუხისმგებლობა	
• კონტიგენტის მოზიდვა, მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა და პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული მხარდაჭერა; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული	

ჯგუფისთვის, შეუსრულებლობა;

- პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.

42. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	- სამუშაო მაგიდა; - პერსონალური კომპიუტერი; - საკანცელარიო საშუალებები; - სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); - დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); - მობილურის ლიმიტი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024 წ
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული:	თარიღი:
-----	-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)	
დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
-----	-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)	

7. იურისტი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

43. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	იურისტი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი

ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

44. სამუშაოს მიზანი:

არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს და პასუხისმგებელია კოლეჯის იურიდიული დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე;

45. პირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- ამზადებს კოლეჯის მიერ გამოსაცემი სხვადასხვა შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებთან;
- წარმოადგენს კოლეჯს სასამართლოში მოსარჩელედ, მოპასუხედ, ყველა იმ უფლებით რაც მინიჭებული ექნება დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის ფარგლებში;
- ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებების, ასევე სხვა სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობითი ხასიათის (მემურანდუმი და სხვა) პროექტების სამუშაო ვერსიების მომზადებას ან/და შეთანხმებას/ვიზირებას;
- უზრუნველყოფს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანას;
- უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას და გაფორმებას;
- ამზადებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილების შეთანხმების პროექტს;
- განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივრებსა და იურიდიული შინაარსის განცხადებებს, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული მოქალაქეთა და იურდიულ პირთა კორესპონდენციებს და ამზადებს შესაბამისი პასუხის პროექტს;
- ახდენს დამსაქმებლისათვის, თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართლებრივი კონსულტაციების გაწევას;
- აცნობს პროფესიულ სტუდენტებს მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
- კომპეტენციის ფარგლებში მოიძიებს ინფორმაციას/მონაცემებს და უზრუნველყოფს მათ გადაცემას დაინტერესებულ ორგანოებისათვის/პირებისათვის;
- უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ გასაფორმებელ ხელშეკრულებათა სამართლებრივ ექსპერტიზას;
- ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივ უზრუნველყოფას;
- განუმარტოს თანამშრომლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და მოსთხოვოს მათი განუხრელი შესრულება;
- გასცეს რეკომენდაციები კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში დაწესებული სახდელის თაობაზე;
- საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის შინაგანაწესის და სხვა დოკუმენტაციის შემუშავებაში;
- მონაწილეობას იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში;
- უზრუნველყოფს, დირექციის მიერ შრომის კოდექსისა და ხელშეკრულებების შესაბამისად სასწავლებლის თანამშრომელთა სამუშაო პირობების დაცვას;

- უზრუნველყოფს, საქართველოს კონსტიტუციის, შრომის კოდექსის, საქართველოს კანონების „პროფესიული განათლების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, კოლეჯის წესდების, განათლების სისტემაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე სასწავლებლის იურიდიული დოკუმენტაციის შექმნას;
- მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში;
- ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციის და ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვის ფარგლებში;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულია დირექტორთან;

46. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი იურიდიული განათლება
სამუშაო გამოცდილება	იურიდიული მიმართულებით სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• საქართველოს კონსტიტუციის ცოდნა; • საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცოდნა; • საქ.კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ცოდნა; • საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა; • საქართველოს შრომის კოდექსის ცოდნა; • საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ ცოდნა. • შეუძლია ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების;
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად

47. უფლებები

- მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები;
- მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;
- ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;
--	---

48. პასუხისმგებლობა

• სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაზე და მისი კანონთან და კანონქვემდებარე რეგულაციებთან შესაბამისობაზე; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
--	--

49. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • კორპორაციული მობილურის ნომერი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024 წ
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	

დასაქმებული:	თარიღი:
-----	-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)	

დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
-----	-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)	

8. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

50. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	9
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	დამხმარე თანამშრომელი; ცეცხლფარეში; დარაჯები 3 ; დამლაგებლები 4

51. სამუშაოს მიზანი:

პასუხისმგებელია კოლეჯის ქონებაზე და უზრუნველყოფს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმვას, მომარაგებას, შენახვას, მოვლასა და განახლებას, ორგანიზებას უწევს სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების გეგმის შედგენასა და განხორციელებას;

52. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- უზრუნველყოფს სასაწავლებლის ბალანსზე მყოფი შენობა ნაგებობების, მატერიალური ქონების უხარვეზო ფუნქციონირებას, შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე ზრუნვას;
- ზედამხედველობს კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალური გამოყენებას;
- იზრუნოს მატერიალური რესურსების გეგმიურ ან მოთხოვნის მიხედვით ოპერატიულ მომარაგებაზე;
- უზრუნველყოფს კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის პროცესის მართვას;
- ოპერატიულად უზრუნველყოს, კოლეჯის ტექნიკური სამსახურის გადაუდებელი მომსახურება და უხელმძღვანელოს სასაწავლებლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სამუშაოებს;
- უზრუნველყოფს ყველა სასაწავლო და არა სასაწავლო ფართის როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციალური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა ასეთის არსებობის შემთხვევაში), ისე ხელოვნური განათებით უზრუნველყოფას;
- ბუღალტერთან ერთად, განსაზღვრულ ვადებში, ჩაატაროს სასაწავლებლის კუთვნილი შენობა-ნაგებობისა, ასევე სხვა მატერიალური ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამისი ხელშეკრულებები გააფორმოს პასუხისმგებელ პირებთან;
- მონაწილეობს კოლეჯის საკუთრებაში არსებული ქონების გეგმიური ინვენტარიზაციის პროცესში კომპეტენციის ფარგლებში;
- უზრუნველყოფს, სასაწავლო პროგრამებისთვის არსებულ „ც“ გარემოში არსებული ინვენტარისა და მანქანა დანადგარების აღრიცხვა/ინვენტარიზაციას ყოველი კვარტლის ბოლოს;
- უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ადაპტირებულ სასაწავლო

რესურსთან წვდომას მათი მოთხოვნები შესაბამისად;

- როგორც მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ახორციელებს საწყობის (რა ფორმითაც არსებობს) მუშაობაზე კონტროლსა და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვიანობას;
- სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციის გამართული ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფს მასალა/ნედლეულით შეუფერხებელ მომარაგებას და სათანადო მოთხოვნის მომზადებას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით;
- ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, შესყიდვების სპეციალისტთან ერთად შესყიდვების გეგმის მომზადებას ან გეგმის კორექტირებას;
- აწარმოებს ინვენტარისა და სხვა ფასეულობათა მიღება ჩაბარების წიგნი, ზედამხედველობა გაუწიოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობას და შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას;
- აწარმოებს ინვენტარის აღწერის/განახლებისა და შეკეთების დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- უძრავი ქონების განზრახ დაზიანების/განადგურების შემთხვევაში მოითხოვს დამნაშავეს დასჯა ფინანსური სანქციებით;
- ახორციელებს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს;
- უზრუნველყოფს სასწავლებლის შენობის, მოსაზღვრე ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება მის დაქვემდებარებაში არსებული პერსონალით და სხვა დასუფთავების ღონისძიების ორგანიზებით;
- მოსთხოვს ქალაქის დასუფთავების სამსახურს, (გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად), ყოველდღიურდ სასწავლებლის მოსაზღვრე ტერიტორიის დასუფთავება და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;
- აღჭურვოს სასწავლებლის დამხმარე პერსონალი: დამლაგებელი, დამხმარე თანამშრომელი, ცეცხლფარეში და გააცნოს დამლაგებლებს საწმენდი საშუალებების, ინვენტარის უსაფრთხო მოხმარებისა და შენახვის წესები;
- კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს დარაჯების მიერ საქმიანობის შესრულებას;
- ორგანიზებას უწევს სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების გეგმის შედგენასა და განხორციელებას;
- ახორციელებს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის დაკავებული პოზიციის და კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს განაწილებას, სათანადო მითითებების და დავალებების მიცემას, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების დროულ, ხარისხიანი შესრულების კონტროლსა და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფას;
- ახორციელებს კოლეჯის შენობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სისტემების (მათ შორის, ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის) გამართული მუშაობის უზრუნველყოფას და აკონტროლებს მათ რაციონალურ ხარჯვას;
- მონაწილეობას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და კოლეჯის სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში;
- კოლეჯის საჭიროებებიდან გამომდინარე ასრულებს დირექტორის სხვა დავალებებს;
- გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციას აწვდის კოლეჯის დირექტორს წერილობითი ანგარიშის სახით, ყოველი კვარტლის ბოლოს.

53. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი ან პროფესიული განათლება - სასურველია ფინანსური მიმართულებით
სამუშაო გამოცდილება	მატერიალური რესურსების მართვის სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლი ან მის გარეშე, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.

კომპეტენცია	• საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ცოდნა; • საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ცოდნა; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოების ცოდნა; • თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა; • საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების გამოცდილება • საქართველოს შრომის კოდექსის ცოდნა;
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად

54. უფლებები

• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა; • მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე ხელმოწერა (მიღება-ჩაბარების აქტებზე, შიდა ხელშეკრულებებზე ხელმოწერა)

55. პასუხისმგებლობა

• კოლეჯის მატერიალური ქონების მოვლა-შენახვაზე და განახლებაზე; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შეუსრულებლობა; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
---	--

56. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
--------------------------	---

სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • • მობილურის ლიმიტი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----
დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----

9. შესყიდვების სპეციალისტი

დანართი 1	დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N -----
-----------	---

57. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	შესყიდვების სპეციალისტი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-

58. სამუშაოს მიზანი:

კოლეჯის პერსონალის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურების ჩატარებას და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენას, მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების მომზადებაში და უზრუნველყოფს მათი შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

59. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- უზრუნველყოფს წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა-შეჯერებას მატერიალური რესურსების კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში მის კორექტირებას და დასამტკიცებლად დირექტორთან წარდგენას;
- კოლეჯის გამართულად საქმიანობისთვის უზრუნველყოფს შესყიდვების შესახებ განაცხადების მიღებას და სათანადოდ დამუშავებას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადებას და დელეგირების ფარგლებში მის ხელმოწერას;
- უზრუნველყოფს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმებას სათანადო უწყებებთან;
- შესასყიდი ობიექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ახდენს ბაზრის მოკვლევას;
- ტექნიკური დავალების შედგენის მიზნით, სპეციალისტების დახმარებით, ახდენს შესასყიდი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი აღწერილობის დეტალურ განსაზღვრას;
- პასუხისმგებელია და უშუალოდ ახორციელებს „საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად სასწავლებლის საჭიროებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვებს ;
- ახორციელებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ უზრუნველყოფას;
- მუშაობს შემოსავლების სამსახურის და შესყიდვების სამსახურის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (procurement.ge და RS.ge) კოლეჯის სახელით;
- მონაწილეობს სატენდერო კომისიაში, მოქმედებს რა „საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საჭიროების შემთხვევაში აცხადებს ტენდერებს და იცავს კანონის ყველა მოთხოვნას;
- გამარტივებული შესყიდვების წარმოების შემთხვევაში ახორციელებს მომწოდებლის შერჩევას დადგენილი წესის შესაბამისად;
- პასუხისმგებელია შესყიდული საქონლის ხარისხზე და თანხვლები, კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოებაზე ;
- შესყიდულ საქონელს დადგენილი წესით აბარებს კოლეჯის მატერიალური რესურსების კოორდინატორს ან მოთხოვნის წარმომდგენ პასუხისმგებელ პირებს, კანონით დადგენილი დოკუმენტაციით;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მომზადებას;
- ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვების პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების ცვლილებებთან და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, კოლეჯის იურისტთან ერთად ამზადებს დირექტორის გადაწყვეტილების პროექტს;

- მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების მომზადებაში და უზრუნველყოფს მათი შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- მონაწილეობს იღებს მისიის, ღირებულებების, კოლეჯის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;
- ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციის და ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვის ფარგლებში.
- მისი უფლებამოსილების შეწყვეტის ან განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული პირი;
- ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის წინაშე.

60. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი ან პროფესიული განათლება - სასურველია ფინანსური მიმართულებით
სამუშაო გამოცდილება	სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების და ბაზრის კვლების გამოცდილება არანაკლებ 1 წლი ან მის გარეშე, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ცოდნა; • საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ცოდნა; • სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მოქმედი დადგენილებების ცოდნა; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოების ცოდნა; • თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა; • საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების გამოცდილება
უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი. • ავტომობილის მართვის უნარი (სასურველია)
ენები	• ქართული - კარგად

61. უფლებები

• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;

- შესყიდვებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე დელეგირების ფარგლებში ხელისმოწერა
- ხელმოწერა მიღება-ჩაბარების აქტებზე

62. პასუხისმგებლობა

- სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივ განხორციელებაზე;
- მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე;
- ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე;
- საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე;
- დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე;
- საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა;
- პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.

63. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • კომპიუტერი (ლექტოპი); • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი; მორიგე ავტომობილით სარგებლობა); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • ტელეფონი კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	
სამუშაო აღწერილობის შედგენის თარიღი	25.12.2024
სამუშაო აღწერილობის განახლების თარიღი	
დასაქმებული:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----
დამსაქმებელის ხელმოწერა:	თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)	-----

10. ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

64. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

65. სამუშაოს მიზანი:

შრომის ბაზარზე მოქმედი კომპანიების საჭიროებების შესწავლა და მასზე დაფუძნებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დამატების/განახლების/მოდულიზაციის ინიცირება;

66. ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- ზრდასრულთა განათლების ახალი სერვისების ჩამოყალიბების მიზნით ზრდასრულთა განათლების პროგრამების დიზაინის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების პროცესში აქტიური თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან ;
- კომუნიკაცია დამსაქმებლებთან პარტნიორობის გაუმჯობესების მიზნით;
- უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე მოქმედი კომპანიების საჭიროებების შესწავლასა და მასზე დაფუძნებით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განახლების/დამატების ინიცირებას;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების პოპულარიზაციისათვის ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებისთვის პროფორიენტაციული ხასიათის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში მონაწილეობა და დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ორგანიზება;
- პასუხისმგებელია მსმენელთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებასა და ორგანიზაციულ სრულყოფაზე;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის კოორდინაცია;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების პროცესის ორგანიზება და მონაწილეობა;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა დასწრების მონიტორინგის წარმოება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

- აწარმოებს მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კვლევას პროგრამის განვითარებისა და მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება/ანალიზი;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ აქტიური კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობა სამთავრობო და არსამთავრობო უწყებებთან;
- ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ახალი ინიციატივების შეთავაზება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებისათვის;
- მონაწილეობას იღებს ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ბიუჯეტის შემუშავების და განკარგვის პროცესში და თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურთან/თანამშრომელთან;
- განსახორციელებელი აქტივობების წლიური გეგმის შემუშავება და წლიური ანგარიშის წარდგენა;
- ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ბიუჯეტის შემუშავების და განკარგვის პროცესში მონაწილეობა და თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურთან;
- ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და ზემდგომის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციის და ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვის ფარგლებში.
- მისი უფლებამოსილების შეწყვეტის ან განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული პირი.
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულება დირექტორთან;

67. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	პროფესიული განათლების მიმართულებით სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ ცოდნა; • საქართველოს შრომის კოდექსის ცოდნა; • საქართველოს მთავრობის დადგენილება N131 „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა; • იცის შესაბამისი ელექტრონული საშუალებების (პორტალების) გამოყენება; • ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • შეუძლია, დაკავებული პოზიციის შესაბამისი კანონების და კანონქვემდებარე აქტებისა და მასში შეტანილი ცვლილებების მოძიება და გამოყენება.

უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად • ინგლისური - ბ1

68. უფლებები

• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;
--	---

69. პასუხისმგებლობა

• მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
--	--

70. დამატებით ინფორმაცია

სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • მობილურის კორპორაციული ნომერი.
ანაზღაურება	

სამუშაო თარიღი	აღწერილობის შედეგის	25.12.2024 წ
სამუშაო თარიღი	აღწერილობის განახლების	
დასაქმებული:		თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)		-----
დამსაქმებელის ხელმოწერა:		თარიღი:
----- (სახელი, გვარი, ხელმოწერა)		-----

11. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

დანართი 1	დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N -----
71. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	
სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-
72. სამუშაოს მიზანი:	
კოლეჯში შრომის პირობების ინსპექტირება, კოლეჯში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის შემუშავება/დანერგვა/ შესრულების კონტროლი;	
73. პირითადი მოვალეობები და ფუნქციები	
- საფრთხეების განსაზღვრა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება კოლეჯის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით; - რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა; - კოლეჯის თანამშრომლების კონსულტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;	

- კოლეჯში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავება და ასევე სხვადასხვა სახის სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თამაშრომლის უსაფრთხოებაზე ტექნიკურ პერსონალთან კოორდინაციაში;
- შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარება და პერსონალის ცოდნის შემოწმება, ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვა სახის შემოწმებების წარმოება;
- აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;
- შიდა აუდიტის პერიოდული ჩატარების ორგანიზება;
- პირადი დამცავი აღჭურვილობით უზრუნველყოფა, და პერიოდული კონტროლი ვარგისიანობაზე;
- კოლეჯში ახალი მიღებული თანამშრომლის პირველადი ინსტრუქტაჟით უზრუნველყოფა;
- პირველადი დახმარების ყუთების განთავსება და მუდმივი კონტროლი საჭირო მედიკამენტებზე და პირველადი დახმარების საშუალებებზე; ინსტრუქციების შემუშავება საწარმო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებებთან დაკავშირებით;
- კოლეჯში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და დირექციასთან წარდგენა;
- შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა და კოლეჯის მენეჯმენტის დროული ინფორმირება;
- ქვეყანაში არსებული სტანდარტის შესაბამისი სისტემის დანერგვა/კონტროლი და მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში დროული რეაგირება და შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა;
- დირექციის ინფორმირება უბედური შემთხვევების, ინციდენტების და საწარმო ტრავმატიზმის შესახებ. მათი აღრიცხვა, ანგარიში, გამომწვევი მიზეზების შესწავლა/მოკვლევა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარება;
- სახანძრო ინსტრუქციების შემუშავება და იმიტაციების ჩატარება ყოველწლიურად;
- შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის საქმისწარმოება.
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულება დირექტორთან;

74. კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები

განათლება	• უმაღლესი ან პროფესიული განათლება აღნიშნული მიმართულებით; • ან შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
სამუშაო გამოცდილება	შრომის უსაფრთხოების სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა ან მის გარეშე, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.
კომპეტენცია	• იცის საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ • ტრენინგებისა და სხვა სახის სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება; • პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის ცოდნა.

უნარები	• კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა; • Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Power Point, Outlook; • ორგანიზების უნარები; • ეფექტური კომუნიკაციის უნარი; • დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • დროის ეფექტურად მართვის უნარი; • ინფორმაციის/მონაცემთა ანალიზის უნარი; • წერილების (მათ შორის საქმიანი კორესპოდენციის) მომზადების უნარი.
ენები	• ქართული - კარგად
75. უფლებები	
• მოითხოვოს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინვენტარი და საოფისე საშუალებები; • მოითხოვოს ორგანიზაციისგან პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა და მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში; • ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით; მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია სამუშაო ურთერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	
დოკუმენტებზე ხელმოწერისა და ვიზირების უფლებამოსილება	• ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტით და წერილების მიმოცვლის „eflow“ ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;
76. პასუხისმგებლობა	
• შრომის უსარფთხოების ნორმების და რეგულაციების დაცვაზე კოლეჯის პერსონალის მიერ; • მუშაობის პროცესში დაშვებულ უზუსტობებზე და დარღვევებზე; • ამოცანების გადაუჭრელობაზე და რომელიმე ფუნქციის/მოვალეობის დარღვევაზე, შესრულებლობაზე და ან/არადროულ შესრულებაზე; • საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების დარღვევაზე; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების დარღვევაზე; • დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ დარღვევაზე; • საყოველთაო მეილის „eflow“ საშუალებით მიღებული დავალებები/ინსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია პერსონალურად ან ყველა თანამშრომლისთვის ან თანამშრომელთა კონკრეტული ჯგუფისთვის, შესრულებლობა; • პოზიციიდან გამომდინარე ყველა სხვა მოვალეობა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს მომავალში სამუშაო აღწერილობის განახლების შესაბამისად.	
77. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქN10; გურგენიძის ქ. N10
სამუშაო გრაფიკი	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	• სამუშაო მაგიდა; • პერსონალური კომპიუტერი; • საკანცელარიო საშუალებები; • სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, პროექტორი, ტელეფონი); • დაზღვევა(ასეთის არსებობის შემთხვევაში); • • მობილურის ლიმიტი.
ანაზღაურება	

სამუშაო თარიღი	აღწერილობის შედეგის	
სამუშაო თარიღი	აღწერილობის განახლების	
დასაქმებული:		თარიღი:
-----		-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)		
დამსაქმებელის ხელმოწერა:		თარიღი:
-----		-----
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)		

12. საქმისმწარმოებელი

დანართი 1

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანის“
დირექტორის ბრძანებით N -----

12. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

სახელი, გვარი	
პოზიციის დასახელება	საქმისმწარმოებელი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	ადმინისტრაცია
სამუშაოს მოცულობა	სრული განაკვეთი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	დირექტორი/დირექტორის მოადგილე
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა	-
დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოციზიცია (ები)	-

13. სამუშაოს მიზანი:

ხელმძღვანელობს, კოორდინაციას უწევს, აკონტროლებს და პასუხისმგებელია საქმისმწარმოების სამუშაოების ორგანიზებაზე, საქმისმწარმოების დოკუმენტ-ბრუნვას აწარმოებს საქმისმწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

14. პირითადი მოვალეობები და ფუნქციები

- ახორციელებს კოლეჯში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციას, სისტემატიზაციასა და დროულ მიწოდებას ხელმძღვანელობასა და შემსრულებლებისათვის;
- საქმისმწარმოებისას ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საქმისმწარმოების წესითა და მოქმედი კანონდებლობის

შესაბამისად;

- პასუხისმგებელია ელექტრონული საქმისწარმოების (eflow-ის სისტემაში) სამუშაოების ორგანიზებაზე;
- აწარმოებს ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო შენახვას, სათანადო ბაზების შექმნასა და პერიოდულ განახლებას;
- უზრუნველყოფს კორესპონდენციის, მათ შორის კონტროლზე აყვანილ დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს;
- უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებასა და არქივისათვის დადგენილი წესის შესაბამისად გადაცემას;
